საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/121 "23" ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დ. კეკენაძის ბათუმის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

2021 წლის 18 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილით მომართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე დავით მამისეიშვილმა და მიუთითა, რომ ბოლო პერიოდში ბათუმის საქალაქო სასამართლოში საგრძნობლად გაიზარდა შემოსულ საქმეთა რაოდენობა. აღნიშნულის დამადასტურებლად თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა კონკრეტული სტატისტიკა. მოსამართლეთა სიმცირისა და საქმეთა რაოდენობის მატების გამო თავმჯდომარემ მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის მივლინება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 23 ივნისის სხდომაზე განხილულ იქნა წერილში მითითებული საკითხი. ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის 14 საშტატო ერთეულზე დღეისათვის უფლებამოსილებას 10 მოსამართლე ახორციელებს, მიზანშეწონილად ჩაითვალა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის მივლინება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში მივლინებისათვის ტერიტორიულად ახლოს მდებარე და ამასთან, ყველაზე ნაკლებ დატვირთულ სასამართლოს წარმოადგენს ფოთის საქალაქო სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა წარმოადგინა აღნიშნული სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძის თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მივლინება ხელს შეუწყობს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა განტვირთვას, ამასთან, არ გამოწვევს ფოთის საქალაქო სასამართლოს გადატვირთვას, ვინაიდან 2021 წლის 17 ივნისს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში აღნიშნულ სასამართლოში გამწესდა ახალი მოსამართლე. ამასთან, დავით კეკენაძეს ქ. ბათუმში აქვს საცხოვრებელი სახლი და ეს გადაადგილება არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძე მივლინებულ იქნეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2021 წლის 30 ივნისიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით.

ნიკოლოს მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი